ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N 13

03 აგვისტო 2020 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა

#15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018** წლის **5** თებერვლის **N5** დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ '' ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს :

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ''(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 12/02/2018, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016320).

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული წესის მეორე მუხლის მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,,2. განისაზღვროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის კატეგორიების შესაბამისად დახმარების ოდენობა :

ა) პირველი კატეგორია – 1000-დან 1500 ლარამდე ;

ბ) მეორე კატეგორია – 500-დან 1000 ლარამდე ;

გ) მესამე კატეგორია – 200-დან 500ლარამდე .''

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე .